თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7358371

ნომერი: AR11072262

თარიღი : 31.12.2024

გაცემის თარიღი : 28.01.2025

გაცნობის თარიღი : 28.01.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი , IV მ/რ, 36-ე კორპუსის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ლატარია პ/ნ 01008042873
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 50 ბ. 13

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ''კოლხი'' კოდი: 404979886

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 31 დეკემბერს №AR11072262 განცხადებით მომართა ზაზა ლატარიამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანებით №01.14.16.009.139 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 25 დეკემბრის №7332595 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 25 დეკემბრიდან 2026 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ საცხოვრებელ ფართობად 7854.69 კვ.მ-ის ნაცვლად 7732.82 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 931.75 კვ.მ-ის ნაცვლად 892.56 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 212.98 კვ.მ-ის ნაცვლად 208.95 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1441.01 კვ.მ-ის ნაცვლად 1422.93 კვ.მ-ის, მანსარდის ფართობად 636.45 კვ.მ-ის ნაცვლად 631.89 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1590.74 კვ.მ-ის ნაცვლად 1511.22 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 30.77 კვ.მ-ის ნაცვლად 54.59 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 2612.53 კვ.მ-ის ნაცვლად 2576.57 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 15310.92 კვ.მ-ის ნაცვლად 15031.53 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებულ გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 7732.82 კვ.მ., საოფისე ფართობად - 892.56 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 208.95 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1422.93 კვ.მ., მანსარდის ფართობად - 631.89 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1511.22 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 54.59 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 2576.57 კვ.მ., საერთო ფართობად - 15031.53 კვ.მ.
2. სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანებით შეთანხმებული -„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის №7303614 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.